რატორული ენით, კომპოზიტორის შემოქმედებითი პორტრეტის სათოქლოანი (თონითა და ელთხება სინტერესოდ ვფერობთ, ნაშრომი ქართველ მუსიკისმეორეადელთა ფართო წრებში სათანადო მოწონებასა და გამოხმურებას გამოიწვევს.





პავლე ხუჭუა

წახ. ა. ბალაბუკეისა

კაკლე სუჭუა

ნანა ქავთარაძე



ცდათი წელია უსმენს ქართველი ხალხი მიმოიდ-ველი ტემბრის ხმას, ისმენს საუბარს მშობლიური მუსიკის მიღწევებზე, კომპოზიტორთა ცხოვრებასა და შეიქმნედიბაზე, ნაწარმოებებზე, რომლებიც თაობებს და-ვიწყებისათვის არ მიუციათ და დღესაც სიამოვნებას გვევლის მათი გმირული პათოსი, სიყვარულის ფარული კლემა თუ ბგერების ფერთა სიუხვე. პატარებს ეს ხმა ასწავლის მუსიკის დედანასა და მოსმენას, და ვინ იცის, იქნებ ბიძესაც აძლევს მათ ფარულ ოცნებას — როცა გაიზრდება, გახდეს მუსიკის ასეთივე მცოდნე. დიდებს კი აცნობს მუსიკალური ხელოვნების

ისეთ საიდუმლოებებს, რომლებიც მხოლოდ კომპოზიტორებმა „იციან“ და საკუთარ ნაწარმოებებში „მაღავენ“. დროდადრო ეს ხმა გაისმის ეთერში, ხან ტელევიკრიანიდან და ქურნალ-გა-წევიებიდან ვესაბურებათ, ხან კი ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის საკონცერტო უსტრადლებიდან.

ლექტორი — პროფესორი პავლე ხუჭუა. ეცნობით მას და მისვე გრძობით, რომ თქვენს წინაშეა არა მარტო ბრწყინვალე ორატორი — მუსიკისმცოდნე, მრავალი ნარკვევისა თუ მონო-გრაფიის ავტორი და რედაქტორი, გამოცდილი პედაგოგი და უაღრესად ერუდირებული პროფესორი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, შესანიშნავი ადამიანი, რომლის უშუალობა და გულახდილობა იმთავითვე უბრალოდ და თავისუფლად გაგ-რძობინებთ თავს. შესაძლოა, აღამიანებთან ურთიერთობის სწორედ ამ მიმზიდველ თვისებაშია ის საიდუმლოება, რომელ-მაც ესოდნე ურიცხვი მგლობარი შესძინა 60 წლის მუსიკოსს, დღესაც რომ ჭაბუკურად შეუკვება კონსერვატორიისაკენ მი-მავალ აღმართს და ენამოსწრებული ქარაგმითა თუ თბილი საღამით სიმპათიით აღგავსებთ.

პავლე ხუჭუამ მუსიკალური ნათლობა ქალაქ ბაქოში მი-იღო, სადაც გაატარა მან თავისი ბავშვობა. იმხანად ბაქოში მრავალი ქართული ოჯახი ცხოვრობდა, არსებობდა ქართველ-თა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც, რომლის თავმჯდომარე იყო კომერციული სასწავლებლის დირ-ექტორი, გამოჩენილი პედაგოგი მიხეილ თაქთაქიშვილი. (ცნობილი ქართველი მუსიკოსების, აწ გარდაცვლილი კომპო-ზიტორის შალვა თაქთაქიშვილისა და პროფესორ გიორგი თაქთაქიშვილის მამა). პავლეს მამა, ვასილ ხუჭუა ამ საზო-გადოების მდივანი და საზინადარი იყო. ბაქოში არსებობდა ორკლასიანი ქართული სკოლა, რომლის დამთავრების შემდეგ პავლე ხუჭუა ბაქოს პირველ გიმნაზიაში შედის, პარალელურ-რად მეცადინეობას იწყებს კრონგოლდის კერძო მუსიკალური სკოლის ვიოლინის კლასში. 1918 წელს, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, თითქმის მთელი ქართველობა დაბრუნ-და სამშობლოში. ვასილ ხუჭუას ოჯახი ფოთში დასახლდა, სადაც მათ მამული ჰქონდათ და პავლემაც აქაურ გიმნაზიაში განაგრძო სწავლა. აქ კიდევ უფრო გაულრმავდა მუსიკის სიყ-ვარული და ინტერესი. თანამოაზრენი ტოლ-ამხანაგებში მყის-ვე აღმოაჩინა. მალე მეგობრების სული და გული გახდა და იმდენი მოახერხა, რომ 1920 წელს 25 კაცისაგან სიმებიან საკრავთა ორკესტრი შექმნა. ჭაბუკი მეგიოლინე უკვე დირი-ჟორად იქცა და ზრუნვა დაიწყო არა მარტო საკუთარი თავის მუსიკალურ განვითარებაზე, არამედ ახალგაზრდა ორკესტრის საერთო ღონის ამალღებაზეც, ლიტერატურის შესწავლასა და რეპერტუარის შექმნაზე. ახალგაზრდა ინსტრუმენტალისტთა ორკესტრი არც თუ ისე ურიგო გამოდგა. 1922 წელს იგი სა-მუშაოდ მიიწვირა ფოთის საბავშვო თეატრის დამაარსებელმა. დიდი რეჟისორის, კოტე მარჯანიშვილის ძმამ — შორეული ნაოსნობის კაპიტანმა ვლადიმერ მარჯანიშვილმა, რომელიც იმხანად ფოთის ნავსადგურის მთავარ ლოცმანად მუშაობდა და მიიღო თავისუფალ დროს საბავშვო თეატრის ანდომებდა. „ეს იყო თეატრით ჭეშმარიტი გატაცება, — იფიქროს პავლე ხუჭუა, — ვლადიმერი საბავშვო თეატრისათვის არა მარტო დროსა და ენერჯიას, არამედ მატერიალურ სახსრებსა და ნიჭ-

თებსაც არ იშურებდა. მთელი სახლი გასცალა ფართლელისა და ავეჯისაგან. ფოთის საქალაქო სკოლასთან მის მიერ ჩამოყალიბებული საბავშვო თეატრი ფოთის საზოგადოებრიობისა და ახალგაზრდობისათვის განათლებისა და კულტურის კერად იქცა. ვლადიმერ მარჯანიშვილი თავისი დიდი შემოქმედებით პოტენციით საქართველოში საბავშვო თეატრის დაარსების ერთ-ერთი პირველი ინიციატორი გახდა. მისწავლეთა ძალეებით იგი ჩინებულად დგამდა ზღაპრულ-ფერეიულ სპექტაკლებს. დღესაც მახსოვს, რა ოსტატურად გამოიყენა განათება მოლოდინის პიესაში „ძუნწი“. ვლადიმერ მარჯანიშვილმა ბევრ ახალგაზრდას გაუღვიძა თეატრალური ხელოვნების ინტერესი. მისი ღვაწლი ამ კეთილშობილურ საქმეში თეატრმცოდნეებისაგან შესაფერის ყურადღებას მოითხოვს“.

როგორც აღინიშნა, ვ. მარჯანიშვილმა თავის მუშაობაში ჩააბა ფოთის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელშეწყობაში დირიჟორებით. იგი პავლეც აცნობდა სპექტაკლის ხასიათს და სხვოვან და მისი მხატვრის განწყობილების მუსიკალურ გაფორმებას. პავლეც ხან უკვე ნასწავლ და ნაცნობ მასალას მიმართავდა, ხან კი მუხას მოიშოვებოდა. მარჯანიშვილის საბავშვო სპექტაკლებში საბალიტო ნიშნებიც შექმნდა, რომელსაც ნორჩი მოციკავავეები (10-15 წლის ასაკის) ასრულებდნენ. ამ დროს ძირითადი დატვირთვა ორგესტრის ჰქონდა და პავლეც იტულებული იყო რეპერტუარში საბალეტო მუსიკა შეეტანა. ამაში მის ვლ. მარჯანიშვილის ჭაღოშივითი თამარი ეხმარებოდა.

ერთხელ ვლ. მარჯანიშვილმა გადაწყვიტა დაეღვა „ზღაპარი ფოთოლციანაში“. საჭირო გახდა ვოკალის სოლო და საუნდო პარტიების შექმნა. სპექტაკლის ბედ-იღბალი მთლიანად პავლე ხუჭუას მომხმარებელი უნარს უნდა გადაეწყვიტა. ამრიგად, ნებით თუ უნებლიეთ, იგი ახაბდა ერთ-ერთი პირველი ქართული საბავშვო ოპერის (სამ მოქმედებალ) ავტორი. პ. ხუჭუას არჩევში დღესაც ინახება აფიშა წარწერით, რომელიც დიმილს ჰაერის თვით ავტორს: „ზღაპარი ფოთოლციანაში“. ოპერა სამ მოქმედებად. მუსიკა ეკუთვნის საბავშვო თეატრის დირიჟორს პავლე ხუჭუას“.

1926 წელს პავლე ხუჭუა შედის თბილისის უნივერსიტეტში სოციალ-გონომიურ ფაკულტეტზე, მომდევნო წელს პარალოლურად მუკაიანიეობს თბილისის I მუსიკალური სასწავლებლის (ვიოლინის განყოფილება) პედაგოგ და. გროსმანის კლასში. შემდეგ კი თბილისის კონსერვატორიაში პროფესორ ვილჰელმ საილინოვი კლასში. აღსანიშნავია, რომ ზაქარია ფლიაშვილმა პ. ხუჭუას კარგი მჭერმეტყველება შენიშნა და შესთავაზა მუსიკისმკოდნეობის ფაკულტეტზე შედო, მაგრამ უარი მიიღო. შემდეგ კომპოზიტორმა ნიჭიერ სკუდენტს წასაითხად მისცა პოპულარული წიგნები მოცარტზე, ბოთაიანზე, ბახზე... სკუდენტი გაიტაცა ლიტერატურამ, ინტერესი გაღრმავდა და მალე მეთერ კურსის სტუდენტი პავლე ხუჭუა ლენინგრადის კონსერვატორიაში გადადის ისტორიულ-თეორიულ ფაკულტეტზე. ლენინგრადი იმხანად მუსიკალური კულტურის კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მუსიკოსები: რ. ი. გრუბერი, ს. ლ. გინზბურგი, ა. ვ. ოსოვსკი, ი. ნ. ტულონი, მ. მ. ჩერნოვი, ბ. ა. არაპოვი... თავისებური სკოლა იყო აგრეთვე ლენინგრადის ფილარმონიის კონცერტები, ოპერის თეატრის სპექტაკლები და რეპერტეციე-



პავლე ხუჭუა და დიმიტრი არაკჩიანი

ბი, რომლებიც თეორიული ფაკულტეტის სტუდენტები სისტემატურად ესწრებოდნენ. მუსიკალური ლიტერატურის შესწავლის მიზნით პ. ხუჭუა 1933 წელს მუშაობას იწყებს ლენინგრადის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის ორგესტრში. სამი წლის მანძილზე იგი უშუალოდ ასრულებდა კლასიკურ საოპერო ნიმუშებს, რაც ნამდვილი სკოლა იყო მისთვის, როგორც მუსიკოსისათვის. ამიტომაც არის, რომ თავის მოსწავლეებს პ. ხუჭუა ყოველთვის ურჩევს პირადად და უშუალოდ გაეცნონ ახალ მუსიკალურ ლიტერატურას. წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა ლენინგრადელ მოსწავლე ახალგაზრდაბაზე გამოჩენილი მუსიკისმკოდნის სოლერტინსკისა და ლიტერატურის ისტორიის ლექტორის დ. ვ. პუმპიანსკის ლექციები. მათი რუდიცია, კულტურა, აზროვნების მასშტაბურობა, უცხვ ენათა ცოდნა, ორატორული ნიჭი, ლოგიკა —

სახელწიფო სიმფონიური ორგესტრის ვასილი კონცერტი ლექტორი პ. ხუჭუა



სანიშნოდ იქცა ცოდნის დაწვავილი ნიჭიერი ახალგაზრდო-სათვის.

1935 წელს პ. ხუჭუაძე პირველად გამოსცადა თავი, როგორც ლექტორმა და წარმატებით ფრთაშესხმულმა დიდი ადგილი დაუთმო ამ საპატიო მოვალეობას შემდგომ შემოქმედებით მუშაობაში. პარალელურად იგი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იყო, მაგრამ მუდამ თანაბარი სიყვარულით იკიდებოდა ყველა საქმეს, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა. დღესაც სათუთად ივსება პავლე ხუჭუაძე გულთბილ ურთიერთობას ქართული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლებთან — ზ. ფალიაშვილთან, მ. ბალანჩივაძესა და დ. არაქიშვილთან. ზ. ფალიაშვილმა გზა დაუღოლა მის მომავალ პროფესიას, მელიტონ ბალანჩივაძე გვერდში ამოუდგა რუსეთიდან ქუთაისის სასწავლებელში ახლად ჩამოსულ ახალგაზრდას. ამ საინტერესო პიროვნებასთან ახლო ნაყნობობამ შემდგომში ასახვა პოვა პ. ხუჭუაძეს საკანდიდატო შრომაში მელიტონ ბალანჩივაძეზე. რაც შეეხება დიმიტრის არაყიშვილს, იგი სულიერი მეგობარი იყო პავლე ხუჭუაძის და ამ მეგობრობამ ბევრი რამ კარგი და ძირფასი შესძინა ქართველ მუსიკისმცოდნეს.

პავლე ხუჭუაძე — ლექტორის, პედაგოგის, მკვლევარის შემოქმედებითი პოტენცია, სხვა ქართველ მუსიკოსებთან ერთად, მას საჭარბოვან მუსიკალური ცხოვრების ცენტრში აყენებს. მან მონორგაფიული ნარკვევი უძღვნა ჩაიკოვსკის, ა. ყარაშვილის, მ. ბალანჩივაძეს (რუსულ-ქართულ ენებზე), ზ. ფალიაშვილს (უკრაინულ, ქართულ ენებზე) და სხვ. მასვე ეკუთვნის შრომები „ქართული სამუსიკო კულტურა“, „თბილისის საოპერო თეატრი“ (ორი გამოცემა), „საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“, „სახელმწიფო კვარტეტი“, „ა. მაკავარიანის „ოტელი“, „ქართული მუსიკის ხალხური საფუძვლები“ (რუსულ და ინგლისურ ენებზე, ორიენტალისტთა 25-ე საერთაშორისო კონფერენციასთან დაკავშირებით) და ა. შ., რომ არაფერი ვთქვათ, საუბუნალო და

საკვაზიო სტატიებსა და დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეყვანილ წერილებზე. პავლე ხუჭუაძე ავტორია აგრეთვე ორი კრებულისა („ქართული მუსიკის კლასიკოსების რჩეული არჩიბი და რომანსები“, „ია კარგარეთელის რჩეული რომანსების კრებულ“) და ქართული ხალხური სიმღერების ანთოლოგიისა. უნდა აღინიშნოს ის თარგმანიებიც, რომლებიც მან, როგორც უცხო ენების კარგმა მცოდნემ, მუსიკალური ლიტერატურის სწავლაში გააკეთა. თუ ყოველივე ამას დაემატებოდა მის მიერ რედაქტირებულ 28 შრომას, ნათლად წარმოვიდგინებ შემოქმედებითი მოღვაწეობის იმ მრავალფეროვნებას, რომელიც პავლე ხუჭუაძეს ახასიათებს.

სახელოვანი მუსიკისმცოდნე ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდილიცაა. 1937 წლიდან იგი პედაგოგის კეთილშობილურ ტვირთს ზიდავს და ამ ხნის განმავლობაში მრავალ ახალგაზრდას მისცა ცხოვრების საგზური. მათ შორის აღსანიშნავია ელ. ძიძაძე (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი), თ. გილაძე (ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი), მუსიკისმცოდნეები — მ. ფინჩაძე, მ. მესხი, ელ. ბალანჩივაძე, ს. კეცბა, მ. ახმეტელი, ევ. მაჭუავარიანი და სხვ.

პავლე ხუჭუაძე აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. იგი უცხოეთში მყოფ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარეა და გაცვლითი კონცერტების, მსატრეული ლიტერატურისა თუ პირადი შეხვედრებისა და მიწერ-მოწერის გზით ყოველნაირად უწყობს ხელს ამ კეთილშობილურ საქმიანობას.

პავლე ხუჭუაძეს ღვაწლი ქართველი ხალხის საზოგადოებრივ კულტურულ ცხოვრებაში არაერთხელს იქნა აღნიშნული მთავრობის ჯილდოებითა და მადლობებით. იუბილარი მუსიკისმცოდნე დღეს შემოქმედებითი აქტივობის ზენიტშია და მისი ახალგაზრდული შემართება თვალს უსწორებს სიახლით აღსაუბრ მომავალს.



ვან კლიბერნი, ალექსი მაჭუავარიანი, პავლე ხუჭუაძე, სოლოზანი სპიკაძე, ალექსანდრე კლდიაშვილი, რობერტოშის სახელობის საზოგადოებრივი ცენტრის წევრები.



ვერა კომისარევესკაია

რუსული სცენის ეპოქა

ნათელა ლაშხია

სიცოცხლე იწყება სიმართლის ძიებასთან ერთად, ხოლო თუ შეწყდება ეს ძიება, წყდება სიცოცხლეც“ — რასკინის * ეს სიტყვები დღევანდელ ქონებას და გადამტყვეულებულ რუს მსახიობთა ჯალს ვერა კომისარევესკაიას და მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ამ დღეისათვის არ უღალატებია.

სიმართლე, უშუალობა, სინამდვილის გამოსატყვევებელი ხელსაწყო, ფაქტობრივ განცდებით—იყო ის უდიდესი ძალა ვ. კომისარევესკაიასთვის.

* ჯონ რასკინი (1819—1900) ინგლისელი ფილოსოფოსი, ხელოვნების თეორიკოსი და პუბლიცისტი, ავტორი „რომისა აშუქების ხელოვნებაზე“.

მისარევესკაიას შემოქმედებისა, რომლისთვისაც შეიყვარა იგი მაცურებელმა. ამ სიმართლისათვის აქებდა, აღდიდებდა მას თეატრალური კრიტიკა, ამ სიმართლისათვის ამკობდნენ მას დაფინს გვირგვინითა და ყვავილებით უფინდნენ გზას სხვადასხვა ქალაქებში გასტროლების დროს მადლიერი მაცურებლები.

ვერა კომისარევესკაია დაიბადა 1864 წელს პეტერბურგში, ცნობილი რუსი მომღერლის თედორე კომისარევესკის ოჯახში. კომისარევესკების ოჯახში გამეფებული თეატრალური ატმოსფერო, საბავშვო-საზინაო სპექტაკლები, სტუმრად მოსული ცნობილი ლიტერატორები და მსახიობები, ხშირი სიარული რეპეტიციებზე მამასთან ოპერაში — შეუდარებელი სკოლა იყო მსახიობისათვის მთელი თავისი სცენური ცხოვრების მანძილზე.

პატარა ვერა თხზავდა იმპროვიზაციულ პიესებს და საოჯახო სპექტაკლებში თვითონვე ანსახიერებდა თავის გამოგონებულ პერსონაჟებს. მაგრამ ნამდვილ სცენაზე ფიქრი კი მას აფრთხობდა, თავი დიხსდა არ მიანდა.

უფრო გვიან, როდესაც კომისარევესკის ოჯახში ცვლილებები მოხდა და თვითონ ვერამ უდიდესი პირადი ტრაგედია გადაიტანა, გადაწყვიტა სცენაზე ეცადა ბედი. მან შეცადინებოდა დაიწყო მსახიობის ოსტატობაში ცნობილ მსახიობ და პედაგოგ ვ. დავიდოვთან. გამოცდილი პედაგოგი დავიდოვი მალე დარწმუნდა ახალგაზრდა მოსწავლის ნიჭიერებაში და ისიც კარგად შეამჩნია, რომ მას სცენური აღზრდის ახალი მეთოდი სჭირდებოდა, ვინაიდან კომისარევესკაია გმირებს ისე კი არ ანსახიერებდა, როგორც ეს მიღებული იყო, არამედ საკუთარ ხერხებს ეძებდა. დავიდოვმა მას ურჩია თეატრალურ სასწავლებელში შესვლა, მაგრამ ვერას ამის გაგონებაც არ უნდოდა. გაკვეთილები შეწყდა.

მალე თ. კომისარევესკომ, რომელიც მოსკოვის კონსერვატორიაში საოპერო კლასს ხელმძღვანელობდა, ქალიშვილები ვერა და ოლა თავისთან გადაიყვანა საცხოვრებლად. 1888 წელს სტანისლავსკის ხელმძღვანელობით მოსკოვში დაარსდა ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოება, რომელიც აერთიანებდა მსახიობებს, მხატვრებს და ლიტერატორებს, ამ საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო თ. კომისარევესკი. სწორედ ამ საზოგადოებასთან არსებული დრამატული წრის სპექტაკლებში გამოვიდა პირველად საჯაროდ სცენაზე ვ. კომისარევესკაია. 1890 წელს მან შესასრულა ზინა ზნედიჩის როლი პიესაში „ანთებული წერილები“, ხოლო 1891 წელს ბეტსი—ტოლსტოის „განათლების ნაყოფში“. უკვე ამ ორი როლით მიიქცია ახალგაზრდა მსახიობმა მოსკოვის მაცურებლის ყურადღება. ასეთი ბესტი, როგორც კომისარევესკაია იყო, არავინ ყოფილა“, — წერდა გაზეთი.

სერიოზული სასცენო ნათობა ვერამ 1893 წელს მიიღო. მამის მეგობრის, ცნობილი მსახიობის ი. პ. კისლევესკის რეკომენდაციით იგი ნოვოჩერკასკის თეატრში მიიწვიეს. ნოვოჩერკასკში ვერას დასხვა ნიჭიერი მსახიობებისაგან შემდგარი შესანიშნავი დისი და ისეთი გამოდილი და განათლებული რეჟისორი, როგორც იყო ნ. სინელნიკოვი. სადებიუტოდ მან ერთმოქმედებიანი კომედია აირჩია. დებიუტანტს დიდი წარმატება ხვდა წილად. მისმა შესანიშნავი ტემპრის ხმამ და

ბუნებრივმა თამაშმა მოხიბლა მაცურებელი, მრავალი წლის შემდეგ, როცა ამ დებოტს იგონებდა, სინელნიკოვი ამბობდა: „ის მაშინაც კი დიდი იყოთ“.

ნოვოგოროდის გაზეთი „Донская речь“ წერდა: „მის თამაშს არ შეიძლება ხელოვნება ვუწოდოთ, ეს თვით ცხოვრებაა, — როცა მსახიობი ტირის, მისი ცრემლები გროხს ამორებენ სახიდან, როცა ღელავს, მის სიტყვებში ისმის ყვლში მომღერალი კეთილი, მაგრამ თუ იცინის, მასთან ერთად იცინის მთელი დარბაზი“.

შემდეგ სეზონში (1894-95 წ.წ.) კომისარჟევსკაია პეტროგრადის ახლომდებარე ავარაკ ოზერკას თეატრის ადმინისტრატორმა ვს. კაზანსკიმ მიწვილა.

სულ მალე ვერა ოზერკას მაცურებლის საყვარელი მსახიობი გახდა. პეტერბურგშიც დაიწყო ლაპარაკი ახალ მსახიობ ქალზე, რომელიც საოცრად ზიდავდა მაცურებლის თავისი გულწრფელი თამაშით. პეტერბურგელები სპეციალურად ჩამოდიოდნენ მის სანახავად ოზერკაში.

ერთხელ კი თვით ნეჟლობინიც ჩამოვიდა, გამოჩენილი ანტრეპრენიორი და თეატრალური საქმეების შესანიშნავი მცოდნე. მან ორჯერ უკრა ვერას მალულად და შემდეგ ვიღწოდან გამოუგზავნა მიწვევის დებუშა. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდროს თეატრამაც შესაბაზა დახურული დებიუტი, ვერამ ნეჟლობინთან მუშაობა არჩია და ვიღწოში გაემგზავრა.

პირველი დიდი წარმატება ვიღწოში მას მოუტანა ოლია ბაბიუტის როლმა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ერთობეშქვებიან კომედიაში — „ნაძვის ხე“. ვინაიდან ვიღწის არისტოკრატის სპექტაკლზე დროულად მისვლა „ცუდ ტონად“ მიჩნდა, ამიტომაც თეატრის ადმინისტრაცია სპექტაკლის დაწყების წინ ერთობეშქვებიან ვიდვილებს უწყვეტად. წესისამებრ „ნაძვის ხეც“ სპექტაკლის წინ უჩვენეს მაცურებლის. მაგრამ მოხდა სასწაული, კომედია კომისარჟევსკაიამ დღესასწაულად აქცია, მაცურებელს ძირითადი სპექტაკლი „ურიელ ავსტა“ დაავიწყდა. გასაოცარი გულწრფელობით ანსახიერებდა ვ. კომისარჟევსკაია 15 წლის გიმნაზიელ გოგონას ოლიას. კომისარჟევსკაია — ოლია მამასთან მოდიოდა შობისწინა ღამეს და უბრუნებდა ულს, რომელიც მან გაუგზავნა მიტოვებულ ცოლ-შვილს, ოლია მკაცრი იყო, თითქმის მტრულად განწყობილიც. თავი ღირსეულად ეჭირა, მაგრამ ხელები უთითოდა და ხმა უწყყდებოდა. ბავშვური სიამაყე და შეგავებულ ნაველი იფარებოდა მის სიტყვებში: „აი ფული! ჩვენ არ გვიხდა, ჩვენ ყველაფერი გვაქვს“. ბოლოს ვერ იკავებდა თავს, ჩაეჭრებოდა მამას და ხდებოდა სასწაული, ნამდვილი, წრფელი ცრემლები ეცემოდნენ მამის ხელებს, გაქაქათებულ სამაკურებს... მაცურებელი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს და აღფრთოვანებული გაიძახიდა კომისარჟევსკაიას გარშ.

მეორე დღეს „Вилениский Вестник“ წერდა: „დრამატულ კბიერში „ნაძვის ხე“ ქ-ნმა კომისარჟევსკაიამ ისეთი მათალი, რეალური სურათი მოგვცა, რომ მაცურებელი აიძულა ტრესპერით ეცქირა მისი თამაშისათვის. არც შეიძლება თამაში ვუწოდოთ ამას, ეს იყო ცხოვრება... ეს იყო მაღალმხატვრული ტკბობა, როგორც ჩვენ ოდესმე განვიციდია თეატრში“.

ასე გულწრფელად, ფაქიზად, სათუთად ანსახიერებდა კომისარჟევსკაია ყველა როლს, გრძნობების და ნერვების დაუზოგავად. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ისე იღლებოდა, რომ უშიშრად მადლობის სათქმელად მაცურებლას წინაშე გახდებოდა.

კომისარჟევსკაიას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როზის სახეს ზუდერმანის დრამაში „პეპელა ბრძოლა“. პირველად ეს როლი მან ვიღწოში განასახიერა ბენჟვინსუხე. როზე გადაიტყა მის საყვარელ გმირად, ის ხშირად ასრულებდა მას საგასტროლო მოგზაურობის დროსაც. ამ როლითვე დამთავრდა მისი ხანმოკლე, მაგრამ ღვებუნად ქვეული სიოცხლე თეატრში 1910 წლის თებერვალს ტაშკენტში. შეუდარებელი იყო კომისარჟევსკაია ამ როლში. „დაფნის გვირგვინით, სცენური გამარჯვებების ნადავლით შემკული, მაცურებლის ალტაცებულ თავიებით დაჯილდოებული გამოვიდა გუმინ კომისარჟევსკაია „პეპელათა ბრძოლიდან“. — წერდა მეორე დღეს პრესა.

ვ. კომისარჟევსკაიას მიერ განსახიერებულ ყოველ როლში იგრძნობოდა სამართლიანი შემართება სიცრუესთან, გარეწარ და გამყიდველ სამყაროსთან. მთელი პლუადა შექმნა მან ასეთი გმირებისა. ლარისა — ოსტროვსკის „უშიხოვოში“, ნინა ზარენაია — ჩეხოვის „თოლიაში“, ნორა — იბსენის ამავე სახეწოდების პიესაში, მაგდა — ზუდერმანის „სამშობლოში“, ნატაშა ბობროვა — პოტაპენკოს „ჯადოსნურ ზღაპარში“ და სხვ.

1896 წ. ვ. კომისარჟევსკაია მიწვივს პეტერბურგს ალექსანდრეს თეატრში. თეატრალური კრიტიკა დაიჭებულა შესვდა ახალი მსახიობის გამოჩენას. მაგრამ ვ. კომისარჟევსკაიამ მალე დაიმორჩილა თეატრალური კრიტიკაც და მაცურებელიც პირველივე როლით (ლარისა — „უშიხოვოში“) მიიქცია მსახიობმა ყურადღება.

ვ. კომისარჟევსკაიას ინტერპრეტაციით ლარისა ტრაგიკული ფიგურა იყო. ცნობილი მსახიობი ი. იურიევი კომისარჟევსკაიას ლარისას ვეღვის ფრინველს ადარებდა, რომელიც აწყდებოდა გალიის კვლის, ცდილობდა დაემსხვრია ის... აშკარა იყო, რომ ეს ფრინველი უმაღ ფრთებს შეამსხვრევდა პაღლებს, ვიდრე ტყვეობას შეურიგდებოდა.

უსტაქად ერთი თვის შემდეგ 1896 წლის 17 ოქტომბერს მან შესაბრალა ნინა ზარენაია ჩეხოვის ახალ პიესაში „თოლია“. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი პრემიერაზე ჩავარდა, ნინა ზარენაიამ გადაიტყა კომისარჟევსკაიას ერთ-ერთ საუკეთესო და საყვარელ როლად. ის იყო ამ როლის პირველი შემსრულებელი და ძალიან მუსწონდა ჩეხოვსაც. მე მიჩნის მას არ ვიცივინდი და საოცარია, თითქმის მისთვის დაგწერო, — ამბობდა ის.

ალექსანდრეს თეატრში ყოფნისას განასახიერა მან ნატაშა ბობროვაც. მისი ნატაშა მთლიანად არსებულისადმი პროტესტის, მენდირებისაკენ, თავისუფლებისა და სინათლისაკენ სწრაფვის გამოსახულება იყო. ყოველთვის ასეთი როლები განასახიერებდა არ უხდებოდა კომისარჟევსკაიას ალექსანდრეს თეატრის სცენაზე. იყო სეზონები, როცა მას მხოლოდ უფერულ და უინტერესო როლებს ალევდნენ, ზოგჯერ კი სრუ-

ლიად უროლოდაც სტოვებდნენ. ყველაფერი ეს ანერვიულებ-
და კომისარევესკიას, ამას ემატებოდა ისიც, რომ მას არ
მისწონდა ამ თეატრში გამეფებულ რუბინა და ერთფეროვ-
ნება. მის მგზნებარე, მაძიებელ სულს უნდოდა ახალი, მწველი
ხელოვნება, რომელიც მილიანად დაიპყრობდა მას, მაცურე-
ბელსაც გაიტაცებდა. სწორედ ამ ახლის ძიებისაკენ მის-
წრაფებამ მიიყვანა იგი საკუთარი თეატრის შექმნის იდე-
ამდე.

1902 წელს კომისარევესკიამ დასტოვა ალექსანდრე თე-
ატრი და გადაწყვიტა საგასტროლოდ წასულიყო რუსეთის
სხვადასხვა ქალაქებში, ახალი თეატრის შესაქმნელად საჭი-
რო თანხების შესაგროვებლად. გასტროლები დაიწყო იმავე
წელს ხარკოვში. „ჯგერისნული ლაშქრობა“ უწოდა მან ამ
გასტროლების სუბრობით.

1902 წლის დეკემბერში დამთავრა პირველი გასტროლები
და იმავე წელს პეტერბურგში, პანავეის თეატრში თიამამა
მაგდა ზუენგომანის ახალ პიესას, „სამშობლო“. „მაგდა, —
წერდა კომისარევესკიას შემოქმედების მკვლევარს დ.
ტალინიკოვი, — ზუსტად ახასიათებს მსახიობის შინაგან ზრდას,
მის იდეურ მისწრაფებას თავის ეპოქაში... ხილთ თეატრ-
ლური კრიტიკოსი გურვეიჩი აღნიშნავდა, რომ „მაგდას სახის
ტრაპედიკული მსახიობმა გამოხატა მაშინდელი ქარიშხლიანი
პროტესტანტული განწყობილება“. სწორედ ამ დღეებში უწო-
და კომისარევესკიას პეტერბურგელებმა „თოლია“.

1903 წლიდან კომისარევესკიამ განახალა თავისი გას-
ტროლები. 1904 წლის 15 სექტემბერს კი იტალიის ქუჩაზე,
ყოფილი პასაჟის თეატრში გუცკოვის „ურთულ აკოსტატი“
გაიხსნა კომისარევესკიას თეატრი, რომელიც „დრამატული
თეატრის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

თეატრის დიდ წარმატებად ჩაითვლება იმ სეზონში იხუ-
ნის „ნორას“ დადგმა. ნორა ითვლება კომისარევესკიას შე-
ნოქმედების მწვერვალად და სრულად სამართლიანად. მსა-
ხიობი დიდის ოსტატობით და უშუალოდ თხრობით მოქმე-
დებიდან მოქმედებამდე ექვენიანა პატარა, ბედნიერი, ცხოვ-
რებით გამყოფილი „დედოფალს“ სულიერი გარდატეხა. თუ
როგორ იქცეოდა საშინელი გამოცდის და გაწვილების გადა-
ტანის შედეგად ნორა სხვა ადამიანად. და, აი, ეს სხვა ნორა
სვე ახლის იყო კომისარევესკიას გმირებთან: ჩიხოვის თო-
ლიათან, ნატაშასთან, მაგდათან... ინგროვად „დედოფლების
სასტუმრო“, პაეროვი კომუნი და უბედურებისაგან გონება-
გახსნილი ქალები — კომისარევესკიას გმირები გამოდი-
ოდნენ ახალ ცხოვრებაში.

„ნორას“ მოჰყვა გორკის „მოვარაკი“, რომელიც მაცუ-
რეულმა ადვინოვანებით მიიღო.

ვ. კომისარევესკიას თავის თეატრში განაგრძობდა ძიებას.
მას უნდოდა „ყოფილი“ თეატრის „ფსიქოლოგიურ“ თეატრად
გარდაქმნა. სწორედ ამ ახალი გზის, ახალი ფორმების ძიების
ქვე იყო იხსენის „შეწებელი სოლნისის“ დადგმა თეატრში. ეს
იყო თეატრის მხატვრული შემოქმედების კარდატეხის მხო-
ლოდ დასაწყისი.

1905 წელს, მიუხედავად აკრძალვისა, თეატრმა მაინც
დადგა გორკის „მშის შვილები“. სპექტაკლი დემოკრატიულმა
მაცურებელმა ალტაცებით მიიღო. ის 40-ჯერ დაიდგა.

ამ სპექტაკლით დამთავრდა „დრამატული თეატრის“
მოღვაწეობის პირველი პერიოდი.

მიუხედავად იმ დიდი სიყვარულისა, რომლითაც გამსჭვ-
ლული იყო ვ. კომისარევესკიას იხსენისადმი, მას და რუსე-
თის მოწინავე მოაზროვნეებს კარგად ესმოდათ, რომ სწორედ
გორკიმ და არა იხსენმა განსაზღვრა კომისარევესკიას თეატ-
რის პოლიტიკური ისევე რუსეთის პირველი რევოლუციის
ეპოქაში.

1906 წელს თეატრი გადავიდა ოფიცრის ქუჩაზე, ყოფილი
ნებეცის თეატრში შენობაში. რეჟისორად მიწვეულ იქნა ვს.
მეიერჰოლდი. ასე დაიწყო „დრამატული თეატრის“ შემოქმე-
დების მეორე ეტაპი.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ რუსეთის საზოგა-
დოება დაანახა. იდეალების და საკუთარი ძალისადმი რწმენის
დაკარგვამ გამოიწვია სწრაფვა არსებულ მდგომარეობიდან
გაქცევისაკენ. ყოველივე ახალ თავისებური გამოსატყულება
პაპოე ლიტერატურას და ხელოვნებაში. ფართოდ გაეღო კა-
რები დასახლები ევროპის დეკადენტურ ხელოვნებას.

ნიჭიერი რეჟისორი ვს. მეიერჰოლდი ყველა პიესას, „ყო-
ფითას“ კი, დროსა და სივრცის გარეშე დგამდა. ასეთი პი-
რობითი სპექტაკლები კი არ მითო მაცურებელმა. ასეთი ბე-
დი ეწვია იხსენის „ჰედა გაბოლუს“ მეიერჰოლდის დადგმით,
რომლითაც გაიხსნა 1906 წლის სეზონი 10 ნომებერს ახალ
შენობაში.

მხატვრული რეალიზმიდან-დეკადენტობაზე მკვეთრად გა-
დასვლა არ აპატიეს კომისარევესკიას უახლოესმა მეგობრებ-
მაც კი. „მე ვიცი, ახალ გზაზე დადგომისას მე და ჩემი მეგობ-
რები ვიდგებით რაღაცაში, მარამ არ ცდებია ის. ვინც ერთ
დავლებზე იტყუებნება. მე მთელი არსებით ვცდილობ თეატრი
ახალ გზაზე დაეყურო, ამ გზად მე მივიჩნეო ის ახალი, რა-
მაც თავი იჩინა ხელოვნებაში, ამ ახალმა კი გამიარავა ლი-
ტერატურაში, მხატვრობაში, მუსიკაში, დრამატურგიაში, პო-
ეზიაში — მან უნდა გამიარჯოს სცენაზე“. — ამბობდა
ვ. კომისარევესკიას.

მარამ გამარჯვება არ მოდიოდა... „ჰედა გაბოლუს“ შემ-
დეგ თეატრმა დადგა იუშევიჩის „ქალაქში“, კშიზიშესკის
„მარადი ზღაპარი“, „ბალაგანშიკიები“. ბლოკის ამ პიესამ
სასტაკად აღაფრთოა მაცურებელი: „სად არის განცდები? ჩვენ
მოვედით თეატრში, ეს კი მართლაც ბალაგანია“ — გაიძი-
ხოდნენ ისინი.

მთელი სეზონის განმავლობაში დიდი წარმატება მხოლოდ
მეტროლიკის „და ბეატრისას“ ხვდა წილად. ბეატრისას რო-
ლის ბრწყინვალე შესრულებით კომისარევესკიამ ისევ დაიპ-
ყრო მაცურებელი, რადგან სპექტაკლის მისტიური გადაწყვე-
ტის მიუხედავად, ის აქაც ვრთოული დარჩა თავისთავისა და
ერთხელ კიდევ გამოვიდა დამარტოების და უბედურების
ქომაგად, ეს იყო მსახიობის დიდი გამარჯვება.

მიუხედავად ამ გამარჯვებისა, მაცურებელი თანდათან
შორდება თეატრს. დაბნეული იყო თვით კომისარევესკიასა,
ეკითხებოდა თავისთავს: იყო თუ არა მეიერჰოლდის მიერ შე-
თავსებული ცეზა სიმბოლური, პირობითი თეატრის ის
გზა, რომელიც დამშუდებდა დიდი მსახიობის მარად
მშფოთვარი, მაძიებელ სულს? და მას აჯონდებოდა ხელოვნების

დღი თეორეტიკოსის სტასოვის სიტყვები: „ვიდრე თქვენ დგამ-
დით ჭკვიანურ, მართალ ბიესებს, მე თქვენი მაყურებელი ვი-
ყავი. ახლა კი არ მინდა თქვენთან მისვლა თეატრში. რატომ
წახვედით ვორიჟან? იმიტომ, რომ ვორი ვეწვეათ მარცხნივ,
თქვენი ახალი მეგობრები კი მარჯვნივ. ასე არ არის? ჩემი
რწევა თუ გინდათ, დანახეთ თავის სისულელებების დადგამას.
ეს არ სჭირდებათ დღეს რუსეთს. თავისი ძალებისადმი რწმენა
უნდა განამტკიცოთ ხალხში. ახალგაზრდობას უნდა ასწავ-
ლოთ და გაუღვივოთ მომავლის რწმენა“.

თეატრიდან თანდათან წავიდნენ საუკეთესო მსახიობები:
ვ. გარდინი, ი. სლონოვი და ბოლოს კ. ბრაიკინი, კომისარ-
ჟევსკაიას საუკეთესო მეგობარი და პარტნიორი წლების მან-
ძილზე. კომისარჟევსკაიას შვეთხვაზე თუ რატომ მიდიოდა
თეატრიდან, სლონოვმა უკახსა: „მე რუსი მსახიობი ვარ,
მირჩენია რუსული დრამა ვითამაშო პროვინციაში, ვიდრე
დასავლეთის დეკადენტური ბიესები პეტერბურგში“.

ესადი იყო ამ გზით სიარული თეატრს აღარ შეეძლო და
კომისარჟევსკაიამ შეიერთდა დიითხოვა.

კომისარჟევსკაია იმ დასვენებულ მივიდა, რომ ახალ თე-
ატრს, მომავლის თეატრს — ახალი ადამიანები, ახალი
მსახიობები სჭირდებოდა და გადაწყვიტა მათ აღსაზრდელად
დრამატული ხელოვნების სკოლა დაეარსებინა. ამ მიზნისათვის
საჭირო თანხების შესაგროვებლად მან ისევ დაიწყო გასტრო-
ლები, რომლის დროსაც უნდადა რუსეთის ყველაზე მიყრუე-
ბულ და შორეულ პროვინციებში ჩასულიყო, რეპერტუარში
ქჰინდა: „მშენებელი სოლენსი“, „და ბეატრისა“, „ნორა“,
„პეპელაია ბრძოლა“, „სასტუმროს დიასახლისი“, „სამშობ-
ლო“ და სხვ.

16 ნოემბერს კომისარჟევსკაიას თხოვნით, რეჟისორმა ზო-
ნოვმა დას წავიკითხა წერილი, სადაც ის მსახიობებს აცნო-
ებოდა, რომ დროებით სტოვედა ცხენას და გასტროლებს
დამთავრების შემდეგ სურავდა თეატრს. „მივიდვარ იმიტომ,
რომ თეატრი იმ ფორმით, რომელსაც მე უნდა ვგრძნობ და
გზა, რომელზედაც მივდიოდი ახალი ფორმების ძიების დროს,
აღარ მჩვენებდა სწორად“.

გასტროლები გაგრძელდა... ხარკოვი, ევატერინოსლავი,
თბილისი... თბილისში გასტროლები დაიწყო 8 დეკემბერს,
სახაზინო თეატრის შენობაში, აღტაცებულ თბილისელი მა-
ყურებლები და პრესა დიდ ხოტბას ასხამდნენ მსახიობის იშ-
ვითა ოსტატობას. 13 დეკემბერს კომისარჟევსკაიამ თბილისის
ღარიბი მოსახლეობისათვის სახალხო სახლში (ამჟამად მარ-
ჯანიშვილის თეატრის შენობა) შედგაითან ფასეუმი გამართა
სპექტაკლი, ხოლო ამ სპექტაკლის მთელი შემოსავალი გა-
დასცა სახალხო სახლთან არსებულ უნივერსიტეტს.

ამვე საღამოს სახაზინო თეატრში გამოსამშვიდობებელი
სპექტაკლი შედგა. მსახიობს მიესალმა და მადლობა გადა-
უხდა სახალხო სახლის უნივერსიტეტის თავმჯდომარე რცხი-
ლაძემ. ვერა კომისარჟევსკაია უამრავი ყვავილები მიართვეს.

მეორე დღეს გაზეთი „Знаккавказье“ სწერდა: „გამორე-
ბის გზაზე, ჩვენ ვუსურვებთ ამ სასწაულომქმედ მხატვარს, მან-
დამაშის ამ სუნენის, კიდევ მრავალი, მრავალი წლების მი-
ძილზე—ასეთსვე შემოქმედებას, შემოქმედება-შეგრძენას“.

სამწუხაროდ, ამ ლეგიენდ-შემოქმედს არ ეწერა დიდი ხნის
სიცოცხლე. თბილისიდან დასი ბაქის გაემგზავრა, შემდეგ სა-
მარყანდში და ბოლოს ტაშვენტში, სადაც დასრულდა მისი
მშფოთვარე ცხოვრება.

ნიგინი თოჯინების თეატრზე



ანამდრევე თოჯინების თეატრის საიუბიუსის შესწავლას
უფლება სურვო ცვაკარიშვილმა თავისი პირველი წიგნი
„თოჯინების თეატრის ელემენტარული საკითხები“,
რომელიც 1955 წელს გამოდგა. მასში განვრცობებული
იყო ავტორის მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობის
შედეგად გამოცდილება. ს. ცვაკარიშვილი ხომ ამ საქმის ერო-
ნობა პიონერია და ენოლოგისა საქართველოში.

რამდენიმე ხნის წინ გამოქვეყნდა „ლიტერატურა და ხე-
ლოვნებამ“ გამოკვეთა ს. ცვაკარიშვილის მეორე წიგნი „თოჯინ-
ების თეატრი“, რომელიც თოჯინების თეატრის წარმოშობას და
განვითარებას ეხება.

საინტერესო წიგნი არა მარტო თეატრის საიუბიუსს განიხილავს,
არამედ თავიანთ ბოლომდე ათიტიტური ნაშრომია. მასში ზაზვასში
ჩანს გაბატონებული კლასისა და სამღვდელეობის საქმიანობა ადა-

მიანის დამონებისათვის, მისი მოტყუებისათვის, ხალხი კი, თავის
მხრივ, მუდამ ცდილობდა ამ სასწაულების ამოხსნას და ასე ურთი-
ერთმეუცხენებელი ჰილილი ჰქონდა ჩაგრულსა და მჩაგრულს.
ამრიგად, თოჯინების თეატრის წარმოშობა ს. ცვაკარიშვილმა თავის
წიგნში მატერიალისტური გაგებით განიხილა.

თავის აზრების ნათელსაყოფად მკვლევარი უხვად სარგებლობს
გამოჩინელ მოღვაწეთა და მწერალთა ნაშრომებით, ასევე გამოყე-
ნებული უკან მრავალი ქართული წყარო — ჩიგნი მღვიმარი ფულ-
კლორი, ვახუტი ბაგრატიონის, პროფ. იანე ჯავახიშვილის, პროფ.
სერგეი მაკალათიას, ისტორიკოს მონე კანაშვილის, პროფ. სიმონ
ყაუხჩიშვილის, პროფ. დიმიტრი ჯანელიძის, იოსებ მჭედლიშვი-
ლის, პროფ. მიხეილ ჩიქოვანისა და სხვათა გამოკვლევებით.
ს. ცვაკარიშვილი წიგნს გაანთია ნაყოფიანებად. ბევრი სა-
კითხი წიგნში ძალზედ მკაფიოდ, შეკრულობდა არის გამოცემული,
თითქოს დაუკლებლად კონსპექტი იყოს: უფრო მეტიც, ავტორი
გაღმა-დასაბუთებას ვერ იძლევა წიგნის მოცულობის განსაზღვრუ-
ლობის გამო.

წიგნის სათაურად უფრო ზუსტი იქნებოდა „თოჯინების თეატრის
წარმოშობა“, ვიდრე „თოჯინების თეატრი“. ასევე, წიგნის
უხვად გამოსაბუთო თოჯინები ვერ პასუხობენ წიგნის შინაარსს,
აქ სათაურში თოჯინის მავარი ორი მოძიავი ეტრიაა დაბატოლი.

ქართული თოჯინების თეატრის ადგილობრივი თუ სხვა მეცნიე-
რული მონაწილეობის, არქეოლოგიური და წერილობითი მასალების
გაცნობას ისტორიის მეტად შორეულ სიღრმეში მივყავართ. ამი-
ტომაც, მივიხვედრი ცხოველი ინტერესით მოელის ყოველ ახალ
შრომს ამ საკითხის შესახებ.



სტეფანე ჯაფარიძე — კიკვიძე („კიკვიძე“)

თეატრისა და ესტრადის ოსტატი

ვახტანგ გოგოლაშვილი

ქცეთას რომ ოდნე გაცვილებით დასავლეთისაკენ, სწორედ ქალაქის დასასრულს დგას ორსართულიანი სახლი ფართო, მამაპაპური აივნით, ისეთი მაღალი ფანჯრებით, რომლებშიც მთელი მზე შემოიტყვენ. შეგიძლიათ თამამად შეაბიჯოთ ჭიჭიარნი — რკინის ალაცყო დაკეტილი არასოდეს არ არის. კბეებს აუყვებთ და აივანზე გახვალთ. როცა მასპინძელი მცხეთაშია, თავის პატარა ვენახში ტრიალებს, ვაზეხს სხლავს, მიწას ბარავს, ატმებს და აღუჩებს უკლის. როდესაც სტუმარს შეამჩნევს, თავი სიხარულით აწივება, ბარსა და სასხლავს მყისვე მიადგებს, აივანზე ამოსვლამდე მარანში შეირბენს, სველ ხელადასა და ხონჩით ხილს ამოიტანს, გვერდით მოგიჯდება და მერე... შე-

გიძლია უკანასკნელი ვარსკვლავის ჩაქრობამდე, უსმინო მის შესანიშნავ დარბაისლურ საუბარს და... აივნიდან მთელი სიხარულით შეიგრძნობთ დამეული ქართლის მწვენივებს.

მართალია, აივნიდან არ მოჩანს ჩამავალ მზეში ხელიკისფრად შეღებილი სვეტიცხოველი, არც ჯვარი ზვიადად თავშემართული. სამაგიეროდ, აქედან წიწამურის ხედი იშლება — ცაღამართული ობელისკი — ილიას უკვდავების ადგილი. ცოტა უფრო შორს, თუ ნისლი არ არის, საგურამოს მომხიბლავი პეიზაჟი იკვეთება და პირველსავე სადღერძელოს უნებურად მოჰყვება პოეტის სტრიქონები:

„წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა,
წიწამურიდან საგურამომდე სიციცხლის გავლა
ნეტავი რაა.

წიწამურიდან საგურამომდე აშრიალეშულ

ფოთლების ზღვაა“.

სტ. ჯაფარიძე მუდამ ატარებს ილიას ლექსების პატარა კრებულს. როცა დროს იშოვნის, მყისვე გაშლის, ისე, ყასიდად გაშლის, თორემ ზეპირად იცის, და გულთბილად, ფოლადნარევი ღუღუნა ხმით წაიმღერებს:

„მარად და ყველგან საქართველოდ მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამღვეი, უკვდავი სული“...

მაგონდება როგორ ვნახე სტეფანე პირველად ესტრადაზე. ეს იყო ყვარელში ილიაბაზე. ყველანი იქ იყვნენ: მწერლები, მხატვრები, მსახიობები, კომპოზიტორები, ქართველი ინტელექციის სხვა რჩეული წარმომადგენლები... ყველას უნდადა თრიოდ სიტყვით თავისი განუზომელი სიყვარული გამოეხატა ქართული ლიტერატურის პრომეთეოსის მიმართ.

ალბათ არასოდეს ყოფილა ასეთი ესტრადაზე სტ. ჯაფარიძე, როგორც იმ დღეს. მსახიობმა ჯერ ილიას ნაწარმოები წაიკითხა, შემდეგ ილიასადმი მიძღვნილი ლექსი, ხმამაღლა, ომხანანად, ოსტატისათვის შესაფერისი მეტყველებით და გულშიჩაწვდომი ინტონაციებით. ბოლოს სცენაზე ნამდვილი ესტრადა გაცოცხლდა.

სტეფანე ოდნე დადინჯდა, კილოს ქონმოვიდებული გულიდან ამოსული ხროტინი შეურია და ჩვენს წინ უგრძობდ, უკოსტუმოდ გააცოცხლა ლეკოსაბ თათქარიძე. ვუსმინთ და ვგრძნობთ, რომ ეს ლურასაბია, ძველი უსაქმური თავადი. მაგრამ, ამავე დროს, თითქოს ჩვენი თანამედროვეა, ნაცნობი, კარის მეზობელი.

სწორედ ამავსა სტეფანე ჯაფარიძის იუმორის ღრმა თანამედროვეობა და დიდი სატირული ძალა. რომელი დროის, რომელი ეპოქის შესახებაც არ უნდა ლაპარაკობდეს, იგი ყოველთვის თანამედროვეა, მისი კრიტიკა კი დროული, მტკივნეული და საჭირო.

ვიტრე ესტრადაზე მოვიდოდა, ვრცელი შემოქმედებითი გზა განვლო სტეფანე ჯაფარიძე. ძნელი სათქმელია, სად შეიყვარა იგი მაყურებელმა — თვითმოქმედების სცენაზე, რუსთაველის თეატრში თუ ესტრადაზე. ვინც მის ბიოგრაფიას თვალს გადაალებს, იოლად დარწმუნდება, რომ ეს სიყვარული დამსახურებულია. მალე ორმოცდაათი წელი შესრულდება, რაც იგი ქართულ სცენაზეა. სცენა სტეფანესათვის ყოველთვის იყო უშემოწმადი და უფაქიშესი ტიპარი.

თუმცა იყო ერთი შემთხვევა, როდესაც სტეფანემ ჯერ



„საქმიანი კაცო“,
პარი — სტ. ჯაფარიძე

ხლი გაეყინა, წამოდგომაც ვერ მოახერხა, ისე მიბრუნდა რე-
ვისორისაკენ.

— აი ნამდვილი სახსიათო მსახიობი! აი, ბრწყინვალედ
მიგნებული მიზანსცენა — იძახდა დარბაზიდან კოტე და
ახალმოკიდებულ პაპიროსს საფერფლეზე სრესდა.

ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. სტეფანეს გულზე მო-
ეშვა.

რეპეტიცია გაგრძელდა.

როდესაც სპექტაკლი მომზადდა და პრემიერაზე მაცე-
ბელმა მსახიობები მჭუსარე ტაშით დააჯილდოვა, ყველა
გრძნობდა, ეს ტაში სტეფანე ჯაფარიძესაც ეკუთვნოდა, რო-
მელმაც ის იხვევ გაიწეორა ეს სცენა პრემიერაზე, როგორც პირ-
ველი რეპეტიციის დროს.

ამის შემდეგ სტეფანე ჯაფარიძე განუწყვლად დაუკავშირ-
და რუსთაველის თეატრს. არაერთი დიდი და პატარა როლი
შეუსრულებია მას ამ თეატრში. ყველა მათგანი სიყვარული-
თა და შემოქმედებითი გატაცებით წარმოუსახავს.

საინტერესო გზა განვლო მსახიობმა.

ეს გზა კი დიდი ხნის წინათ დაიწყო, იმერეთის მშვენიერ
სოფელში—ბაღდაშში, სადაც 1902 წელს მელიტონ ჯაფარი-
ძისა და ფედოსი მერკვილიძის ოჯახში დაიბადა ვაჟი—სტე-
ფანე ჯაფარიძე.

პირველდაწყებითი განათლება პატარა სტეფანემ იქვე მი-
იღო, შემდეგ სწავლა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში განაგ-
რძო. აქ, ამ სკოლაში, სადაც თავის დროზე უსწავლიათ აკა-
კის, გალაკტიონის, ვლ. მაიაკოვსკის და სხვა მრავალ გამოჩე-
ნილ პიროვნებას, დამთავრა სტ. ჯაფარიძემ ექვსი კლასი.
გიმნაზიის წლები მისთვის დღემდე ყველაზე ტკბილი მისა-
გონებელია. აქვე, ქუთაისში უზიარა იგი პირველად დიდი სცე-
ნის სიყვარულს. ქუთაისის თეატრში პლეიერი დასი მუშაობ-
და და, ვინ იცის, რამდენჯერ უოცნებია იარუსის უკანასკნელ
რიგში მიუკუჭულ ბავშვს, ოდესმე თვითონაც დაემსახურებია
მაცურებლის ასეთი ალტაცება.

მეექვსე კლასიდან სტეფანე კომერციულ სასწავლებელში
გადაიყვანეს. მაგრამ ხელოვნებით გატაცებულს, ცხადია, დი-
დად ვერ მოხიზლავდა კომერსანტის მომავალი. ამიტომაც,
მაღე დანებება თავი სასწავლებელს და ბაღდაშში დაბრუნ-
და. სოფლად მარტო მამაპაპუელი კერა და ბავშვობის ტკი-
ბილი მოგონება როდი ეძახდა ყმაწვილს. იქ იმ დროს თვით-
მოქმედ თეატრულ კოლექტივს შემდგომი რესპუბლიკის დამ-
სახურებელი არტისტი ვლადე ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა.
მას სცენისმოყვარეთა პატარა წრე ჩამოეყალიბებია და გლე-
ხობისათვის უფასო წარმოდგენებს მართავდა. რა გასაკვირია,
რომ ახალგაზრდა სტეფანე ამ წრის წამყვანი მსახიობი და
ნამდვილი სულისჩამდგმელი გახდა. დღესაც კმაყოფილების
გრძობით იგონებს ხანდახმული მსახიობი თავის პირველ
როლს — მეურმე ბიჭისას გვლევანიშვილის „მსხვერპლში“.

„ეს ამავაი 1917 წელს მოხდა, — მიაშბო სტეფანემ. —
მძიმე ზაფხული იყო, მოუსვლიანი. გვიჭირდა. გულქობა რე-
ვოლუციურად იყო განწყობილი. ამიტომაც შევარჩიეთ გედვე-
განიშვილის როლი პანკ. ჩემი როლი თუმცა დიდი არ იყო,
მაგრამ სცენაზე გულაცაცხებელი გამოვედი — ეს ხომ
ჩემი პირველი გამოსვლა იყო ნამდვილი მაცურებლის

კიდევ ახალგაზრდობაში დაარღვია მკაცრი თეატრალური
დისციპლინა და თეატრში შეზარხმებული გამოცხადდა.

რეპეტიციას კოტე მარჯანიშვილი ატარებდა. ეს რუსთა-
ველის თეატრში მისი მოსვლის პირველი ხანა იყო. მსახი-
ობები გულის ფანცქალით ელოდნენ კოტეს ყოველ რეპეტიციას.
ახალგაზრდობა რევისორის ხელში განუსაზღვრელად ბეგს
სწავლობდა. დიდი იყო ახალგაზრდა მსახიობების — სტეპკო
ჯაფარიძისა და პოკო მურულუას სიხარული, როცა ისინი
რევისორმა „დეზერტიკაში“ დააკავა ეპიზოდურ როლებში.
სწორედ ეს სიხარული აღნიშნეს ახალგაზრდებმა და პირ-
ველსავე რეპეტიციაზე შეზარხმებულნი გამოცხადდნენ.

ყველამ კარგად იცოდა კოტეს სიმკაცრე ასეთ შემთხვევა-
ში. ერთადერთი იმედი ის იყო, რომ რეპეტიცია სხვა სცენით
დაიწყებოდა. მაგრამ პარტერში გამოჩნდა მარჯანიშვილი და
ეს იმედიც გაქარწყლდა. რევისორმა სწორედ სტეფანესა და
პოკოს გამოსვლა მოითხოვა.

პოკო და სტეფანე ხელზე მოვატყრეებს თამაშობდნენ.
პირველი მოსახსამს პყიდა, ხოლო მეორე—ხალიჩას. ორთა-
ვენი თავებამოდებით ატებენ თავიანთ საკონულს და კამათი
ხელჩართულ ჩხუბში გადადიოდა. ჩხუბის დროს გაბრაზე-
ბულმა სტეფანემ ხალიჩა მოუქნია პარტნიორს. პოკო გვერდ-
ზე გახტა. ნასვამმა სტეფანემ თავი ვეღარ შეიკავა და იატაკ-
ზე გაიშხლართა. შემდეგ წამოდგა. მიზანსცენის ხელახლა გა-
თამაშების დრო აღარ იყო. შემერთალმა მოიკალათა ძირს
გამოიღო ხალიჩაზე და დაიწყო თავისი რუბიკა.

— შეერბოდი, — გაისმა პარტერიდან კოტეს ხმა. მსა-
ხიობები შვერთნენ და გაირინდნენ. სტეფანეს ძარღვებში სის-

წინაშე. სხვათაშორის, რა დასამალია, დღემდე შემომრჩა ეს ერთგვარი შიში მაყურებლისა. მივიღი გულით მოვიხილომე ნამდვილ მეურნეს დამფუძნებელი. როგორ ვითამაშე, ვერ გეტყვით, მხოლოდ ჩემს სიხარულს სასლავარი არ ჰქონდა, როცა პიესის დასასრულს შალვა გადამეკონა და მი-
თხრა — ყოჩაღ, ბჭო, მასახელო!.. არ მახსოვს სახლში მივედი თუ მოვიყრინდი. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, რომესაც საღამოს მეზობელი გვეწვია და საჩუქრად ერთი ბოთალი ფევილი მომართვა. იმ გაჭირვებულ პერიოდს თუ გავითვალისწინებთ, ეს პატარა ჰონორარი როდი იყო მეურნე ბიჭის როლის შესწრულებისათვის. გამოვიტყდებით, შემდგომ მიღებული ასჯერ მეტი ჰონორარიც არ დამიხარავას ასეთი საიმოვნებით“.

1921 წლიდან სტეფანე საბოლოოდ დაბრუნდა ბაღდა-
ში და უკვე თვითონვე ჩაუვდა სათავეში სცენისმოყვარეთა წრეს. რამდენი კარგი პიესა დადგეს ბაღდაღელმა დღამწრის წვერებმა ორი წლის განმავლობაში, სანამ სტეფანე ჯაფარიძე სიფლის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. მეზობელი სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ გლეხები ახაბებულთა „გახმა-
ურებელი“ დადგემების — ს. შანშიაშვილის „მართლის პა-
ნაშვიდისა“ და შილერის „ყაჩაღებიდან“ „მოქმედის ტყის“ ნაწყვეტის სანახავად. „ყაჩაღებში“ სტეფანე კარლ შორს თა-
მაშობდა. ახა მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ იგი კარლ შო-
რს რუსთაველის თეატრის სცენაზეც ითამაშებდა.

სტეფანე ჯაფარიძე დიდ შემოქმედებით გზაზე 1922 წლი-
დან გამოვიდა, როდესაც სასწავლებლად და სცენაზე სამუშაო-
ოდ თბილისს მიაშურა. პირველად ქართულ ფესოსთან ლე-
გიონში ჩაირიგება და ლეგიონის კლუბში ვ. გოძიაშვილიან,
ე. ლორთქიფანიძისთან, ნ. მაჭავარიანთან და სხვებთან ერთად
გაიზიარა სცენისმოყვარის მიმღე ტვირთი. მაგრამ სტეფანე
გრძნობდა, რომ მისი ადგილი პროფესიულ სცენაზე იყო.
ამიტომაც უკვე 1922 წლის სექტემბერში სწავლას იწყებს
პროფესორ აკაკი ფაღავას თეატრალურ სტუდიაში, რომელიც
შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტად გადაკეთდა. 1925 წელს
სტ. ჯაფარიძემ წარმატებით დაამთავრა ეს სასწავლებელი
და რუსთაველის თეატრში მიიწვიეს მსახიობად.

ბედნიერად დაიწყო მისი გზა დიდ სცენაზე — კოტე მარ-
ჯანიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა. ეს იყო სწორედ
ის პატარა ეპიზოდი ნ. აზნაისის პიესა „დედურტიკაში“,
რომლის შესახებაც უკვე ვთქვით. ამ დღიდან 1959 წლამდე,
სანამ ვალმოხდილი არ ჩამოსცილდა რუსთაველის თეატრს,
იგი იყო ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი და წლებების მანძილზე
ბევრი საინტერესო სახე შექმნა.

ვისაც იმ წლებში რუსთაველის თეატრის სპექტაკლები
უნახავს, ვინც გატაცებული ყოფილა მარჯანიშვილის, ახმე-
ტლისა და მისი მოწაფეების შემოქმედებით, ახსოვს ცეცხლო-
ვანი, ენერგიული, სცენის სიყვარულით გამსჭვალული
ნიჭიერი თაობა, რომელთა შორის სტეფანე ჯაფარიძეც
იყო.

სტეფანეს უჭირს მის მიერ განსაზღვრებულ როლში გა-
მთარჩიოს ერთი ან რამდენიმე, უჭირთ ეს მაყურებლებსაც.
ზოგში სახის გახსნის უშუალობა გვიხილავდა, ზოგში სიღ-
რბე, ზოგში კიდევ შინაგანი ემოციების გადმოცემის დიდი

მსახიობური ძალა. მაგრამ მაინც შეიძლება გამოირჩეს საუკე-
თესო — საბოლოოაქო ომის ლეგენდარული გმირის ვასილ
კიკვიძის სახე.

ვ. დარასელის „კიკვიძე“ რევოლუციის ქარიშხლიანი
დღეების ნამდვილი ეპოპეაა. მასში ღრმად და პოეტურად
არის დახატული რევოლუციის მუცნებარე რაინდის, „ქართვე-
ლი ჩაპაევის“, ვასილ კიკვიძის უკვდავი სახე. სხვა მხატვრულ
ღირსებებთან ერთად პიესაში იგრძნობა მთავარი გმირისადმი
ავტორის უსაზღვრო სიყვარული, რომელიც მაყურებელსაც
გადაეცემა.

ეს კი ბევრად არის დამოკიდებული მსახიობზე. მან უნდა
შემძლოს სცენაზე ისე წარმოვიცისახოს უკვე ლეგენდა ქვე-
ლი ადამიანი, რომ სული ჩაუდგას, ხორცი შეასხას ამ ადამია-
ნის შესახებ ჩვენს ოცნებაში შექმნილ წარმოდგენას. ეს კი
ძალზე რთულია.


ამ სინთლის დაძლევა შეუძლავს სტეფანე ჯაფარიძემ. სცე-
ნაზე იდგა ნამდვილი კიკვიძე, სახელგანთქმული დივიზიის
მეთაური.

ამიტომაც იყო, რომ აღდრთოვანებული ავტორი წარმოდგე-
ნის დამთავრების შემდეგ აიჭრა სცენაზე, გადაეხვია მსახი-
ობს და აღღვებულმა უთხრა: „ასეთი, მხოლოდ ასეთი წარ-
მომედინა კიკვიძე, დიდი მადლობა“.

ვისაც ერთხელ უნახავს, არასოდეს დაავიწყდება სტეფანე
ჯაფარიძის მიერ გამოკვეთილი სახეები. ყველა მათგანისათ-
ვის მსახიობი ეძებდა და პოულობდა რაღაც განსაკუთრებულ
შტრიხებს, რომლითაც როლი შეუდარებელ ინდივიდუალურ
თვისებებს იძენდა. მისი კარლ შორი (შილერის „ყაჩაღები“)
დამყავებელი საზოგადოების წინააღმდეგ ამბოხებული გმი-
რია, რომლის გულშიაც მეგობრობისა და სიყვარულის უნა-
შესი გრძნობები იბრძვიან. დ. ერისთავის „მამშობლოში“
ჯაფარიძემ შაპის როლი განასახივრა. ეს არის იტყებთა და
ენებებით აღსავსე მკაცრი, ბორბი ადამიანის სახე. და განა
ყველას დახასიათებ? ლეიტენანტი შტუბე ლაგერნიევის
„რღვევაში“, ქისტია — „ლამარაში“, ალისტარაბო — ს. კლდი-
აშვილის „შემოდგომის აზნაურებში“, რაიკომის მდივანი
„გმირთა თაობაში“, დიეგო — გ. მდივნის „ალკაზარში“,

ვ. სალარაძე და სტ. ჯაფარიძე ესტრადაზე





შემოდგომის
„ზნაურები“ —
სტ. ჯაფარიძე —
არისტრახო

იგი სულ ერთი წამით გაიყვავს კვრანზე, მაგრამ მაინც დასამახსოვრებელია.

ესტრადაზე სტეფანე ჯაფარიძე 1928 წელს მივიდა, სულ ახალგაზრდა, 27 წლის ყმაწვილი. მივიდა და დამკვიდრდა კიდეც. ცოტა შეიძლება დავასახელოთ მსახიობი, რომელიც სტეფანესავით შეითვისა ქართულმა ესტრადამ. მან ჯერ ვასო გოძიაშვილთან ერთად დაიწყო მუშაობა, ხოლო შემდეგ გიორგი საღარაძესთან.

სტეფანე ჯაფარიძე და გიორგი საღარაძე! იშვიათად თუ შეხვდებით საქართველოში ისეთ ადამიანს, რომელსაც არ მოესმინოს მათთვის. სკეტები და მინიატურები, — ყველაფერი, რაც სტეფანესა და საესტრადო კულბეტებში, — სტეფანე ჯაფარიძე და გიორგი საღარაძე ერთვნიან იმ მცირერიცხოვან ქართულ მსახიობებს, რომლებმაც შექმნეს ქართული საბჭოთა ესტრადა.

დაუღალავად, დაუცხრომელი შემოქმედებითი წყურვილით მიღვაწეობდა ეს ორი მსახიობი დიდი სამამულო ომის წლებში. მათ თავიანთი სიტყვა ხიშტსა და მახვილს გაუტოლეს. ისინი გადადიოდნენ ფრონტიდან ფრონტზე, ბრძოლის ველიდან ბრძოლის ველზე, სანერგოში და თავიანთი პატრიოტული სიტყვით აღაფრთოვანებდნენ მებრძოლებს. სამამულო ომის პერიოდში, ოთხი წლის მანძილზე სტეფანე ჯაფარიძემ და გიორგი საღარაძემ საბჭოთა მომგრებისათვის ათასამდე საშუალო კონცერტი გამართეს.

სტეფანე ჯაფარიძე მსატრეული კითხვის ოსტატია. იგი პირველი ქართველი მსახიობი იყო, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ესტრადის პირველ საკავშირო კონკურსზე და კონკურსის დიპლომატის ხარისხი დაიმსახურა. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენით, მედლებით, სიგელებით, მაღლობებით, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

სტეფანე ჯაფარიძე ჯერ კიდევ ახალგაზრდული ენერჯითაა აღსავსე. საქართველოს რომელ კუთხეში და წელიწადის რომელ დროს არ შეხვდებით მას. გაიკონტაქტო მის მუქუხარ, ვაჭკავივო სიტყვას. ფილარმონიის გაიკონცერტო განყოფილებაში ხშირად მოდიან რაიონებიდან, სოფლებიდან და მშრომელთათვის კონცერტების ჩატარების მიზნითაც, და როდესაც განყოფილების გამგე მათთან ერთად კონცერტის გეგმას ადგენს, თითქმის ყველა მათგანი თხოვს „თუ შეიძლება, როგორმე იქნებ სტეფანე ჯაფარიძეც გამოვზავნოთ“.

იგი ყოველთვის მზად არის გაემგზავროს სხანდის, ფშაგ-ხესურთა სოფლებში თუ ყოლაჩის საძოვრებზე...

სტეფანე ჯაფარიძემ იცის — წინ კიდევ ბევრი საინტერესო ელოდება. მსახიობი დინჯად მიჰყვება ამ გზას თავისი დიდი გამოცდილებით, სახელოვანი წარსულით და მუდამ ახლის ბიძაობა, იგი ეძებს რეპერტუარსაც, შესრულების მანერასაც... ეძებს და პოულობს კიდევ ამიტომ არის, რომ სამოცდახუთ წელს მიღწეული მსახიობი ესტრადაზე კვლავ ისეთივე ახალგაზრდად დარჩა, როგორც ორმოცი წლის წინათ იყო. ამიტომ არის, რომ მაცურებელს არასოდეს ბეზრდება იგი და ყოველი ნიშნის შესრულებას ტაშით ეგებება.

მირზა — „ანზორში“, ბუხუტი — კ. კალაძის „ერთი ღამის კომედიაში“, პრინცი ფორტინასია — „კამელეტში“ და სხე...

კინოსაც გადაუსხდა ხარკი სტეფანე ჯაფარიძემ. აქაც მისი პირველი გამოჩენა კოტე მარჯანიშვილი იყო. ეს იყო 1926 წელს, როდესაც კოტემ „სამანიშვილის დედნაცვალი“ გააცოცხლა კვრანზე. ამ ფილმში სტეფანე აზნაურის როლს ასრულებდა.

მსახიობი დღესაც დიდი სიამოვნებით იგონებს კინოში საყვარელ რეჟისორთან მუშაობის საინტერესო დღეებს.

განსაკუთრებით უყვარს ერთი ეპიზოდის გახსენება — როგორ გადაიღეს სოფელ რიონის მიდამოებში აზნაურთა ქეიფის სცენა. ტყისპირას ნამდვილი საქეიფო სუფრა გაშალეს, მაგრამ ცა უეცრად მოიღრუბლა და გადაღება გაჭიანურდა. „აზნაურებმა“ ნამდვილად მოილხინეს და, როცა მშენებამოაჭყეიტა, სუფრაზე აღარაფერი იყო დარჩენილი, ხოლო შეეჭფიანებული „აზნაურები“ ხმაძალი მრავალგამიგრიტ აღვიძებდნენ რიონის მიდამოებს. ასე განმეორდა მეორე დღესაც. მესამე დღეს მსახიობები უკვე ჰქვიფის უხსნდნენ გაწყობილ ღვინის მაგიერ შეფერადებული წყალი ჩაესხათ. ცხვირ-ჩამოშვებული აზნაურები მგლოვიარეებით უხსნდნენ გაწყობილ სუფრას, ტყისპირას წამოწოლილი კოტე კი გულიანად სარხარბდა.

სტეფანემ თავისი როლი შესანიშნავად შეასრულა და იმერული ტედაშვიცა აზნაურის ეპიზოდური, მაგრამ დასამახსოვრებელი სახე შექმნა. დიდი ხნის შემდეგ, ა. ჯაფარიძეს მოიხსნა ეპიზოდური როლი შესთავაზეს კინოფილმ „მამლუქში“.



და რაც იმად ღირს, რომ ვიგელოთ და დავისაკუთროთ, უხადლას ვაღებ მანამ, ვიდრე შენი მძის პირით იმ ბრალდებისგან გამართლდები, რაშიც ბრალს ვდებ.

ო ლ ი ვ რ ი — ნეტავ ამ გულში ჩაახდდა თქვენს ბრწინვალებას: მე ხომ ჩემი მძა არასოდეს არ შევარბობა.

პეტროვი

ფ რ ი ე დ რ ი კ ი — მით უარესი: ავაჯაკი უყოფლობა მაშინ, ნუ დამანახებთ, გააბრძინებ ახლაც კარში და გზას გაუღდეს. გადაეციეთ ჩემს მოხელეებს მძის სახლ-კარსა და მამულებს, ჩემის ბრძანებით, ამიერიდან რომ უხადდა აქვს დადებულა.

(გაღიანი)

უილიამ შექსპირი

სურათი მთრობა

არღმის ტაძ

(ქაღალდით ხელში შემოღის ორღანდო)

ო რ ლ ა ნ დ ო — ნიშნად ჩემი სიყვარულის, ჩემო ლექსო, აქ ეციად და შენც, ღამის დღეოფალო, სამგერ დავიგორავნებოლო, შენი მკრთალი ბურობობნად წაიღეოა-წაიღეო ვიწოდო ჰიოდო იმის სახელს, ვისაც ვმონებ, ვინაც შენ გფლობს, ჩემო გფლო. როსაიღინდავ, ხეოა წყუბა ქაღალდებად გამოსდება, ჩემო გფლო. იმით ქერქვე მოუხვენარ ფიქრობა გროვას ამოქვარავ, რომ სულუყვამად დინახოს, ამ ტყე-ღრემი ვინც მოხვდება, შენი უღვთო სიღამაზე, რაც ოცნების ზღვაში მკარავას. ო, ორღანდო, მარდად, მარდად, დააწერე უყოფელ ხესა, ვის მშვენების ვერ გამოქვამ, ვინც ოცნებად გადაექვცა.

(შემოღიანი კორინი და ტანისტოუნე)

კ ო რ ი ნ ი. როგორ მოგწონთ მწვემსური ცხოვრება, ბატონო ტანისტოუნე?

ტ ა ჩ ს ტ ო უ ნ ი. მართალი გითბრა, მწვემსო, თავისთავად ჩინებული ცხოვრება; მაგრამ, იმის კვალობაზე, რომ მწვემსის ცხოვრება, არავფრის მავისთა; იმის კვალობაზე, რომ განმარტობებულია, ძელიან მომწონს; მაგრამ იმის კვალობაზე, რომ განკალკეებებულია, მეტად მოსაწყენია; იმის კვალობაზე, რომ მინდერად მიღინარობს, სიამოვნებას მგვინის; მაგრამ იმის კვალობაზე, სასახლეში რომ არ მიმღინარობს, დარდილი მავსებია; ხელმოკერნი ცხოვრება რომაა, გეუბნები, ჩემს სულს თინამებ; მაგრამ მარკინინ რომ არაა, ჩემს კულს არ ებიწნავება — იცი თუ არა ჩამე ფილოსოფია, მწვემსო?

კ ო რ ი ნ ი. სხვა არა ვიცი რა, გარდა იმისა, რომ, რაც უფრო ავად ხდება კაცი, მით უფრო ცუდად გრძნობს თავს; ვისაც უღვთა ფული, საშუალება და ქონება, იმას სამი გულითადად მეგობარი ავლია; წვიმის თვისება ისაა, რომ აქრობს, ხოლო ცეცხლისა, რომ წვავს; კარგ სამოვარზე ცხვარი სულდება და ღამის უმოვარესი მრეზი უშეშდება; იმას, ვისაც ბუნებისგან ჰქუა არ დაყოლია და არც ხელოვნურად მიუღია, უფლება აქვს კარგი აღზრდის უქონლობას უჩიოდეს, არადა რიგიანი წინარბები არა მყოლია.

ტ ა ჩ ს ტ ო უ ნ ი. ეს ბუნებრივი ფილოსოფიაა. მწვემსო, სასახლეში თუ უყოფლობარ ოდესმე?

კ ო რ ი ნ ი. არა, ჩემს დღეში არა უყოფლობარ.

ტ ა ჩ ს ტ ო უ ნ ი. მამ, წაწვემენდილობარ.

კ ო რ ი ნ ი. არა მგონია.

ტ ა ჩ ს ტ ო უ ნ ი. გეუბნები, ისევე მოგიწევს ფოჯოხეთში ამოხრბუკა, როგორც ცუდად, ცალ მხარეზე შემწვარ კერცხსა.

კ ო რ ი ნ ი. ვითომ რაღაო? განა იმისთვის, ცოცხლებს; ცოცხლებს კი წაწვემენდა მიუღია?

ტ ა ჩ ს ტ ო უ ნ ი. აბა რა? თუ არასოდეს არ უყოფლობარ სასახლეში, კარგი ჩვევაც არ გინახავს; კარგი ჩვევა თუ არ გინახავს, ცუდად უნდა იქცეოდეს; ვინც ცუდად იქცევა, სცოდნავს; ცოცხლებს კი წაწვემენდა მიუღია?

კ ო რ ი ნ ი. არავითარი შემთხვევაში, ტანისტოუნე ის, რაც კარგ ჩვევად მიანიბათ სასახლეში, სიცოცხლე არ მყოფდით სოფლებში, ხოლო სოფლის საუკეთესო ჩვევებს სასაცილოდ იღებდნე სასახლეში. განა შენ ფიქრობ არ მოიბარბ, რომ კარისკაცები თბეს კი არ ურჩავნენ ერთი მიერის, არამედ თავიანთი თითის წებრებს მკიცნიან და ერთმანეთს მარტოვან კოცნას უგზავნიან? ეს, ცოტა არ იყოს, უსიამოვნო სალობო იქნებოდა მწვემსებისათვის.

ტ ა ჩ ს ტ ო უ ნ ი. მოკლედ მოსკუერი, საბუთო უნდა იყოს, საბუთო. **კ ო რ ი ნ ი.** ამაზე გაუწინებო? ჩვენ ხომ სწორად ვკვდებით ხელს ცხვრებისა; მათი მატყლი კი, მოგვსენებოთ, შმორიანია.

ტ ა ჩ ს ტ ო უ ნ ი. ეგ ვერაფერი საბუთია. განა კარისკაცს არ უოფლოანდება ხელი? და განა ადამიანის ოფლი ცხვრის მატყლის შმორზე ნაჯობს საჩხლდარა? ეგ უსუსური საბუთია, უსუსური. უყოფესი მოივანე, თუ შეგიძლია. აბა ვიცი.

კ ო რ ი ნ ი. ისეც რომ არ იყოს, ჩენი ხელები უხეშია.

როგორც

განეაოო*

ქ ო მ მ დ ო

შ ო მ გ ი მ ა მ ა მ მ მ ს მ ს მ მ

ს უ რ ა თ ი პ ი რ გ მ ლ ი

ო თ ა მ ს ა ს ა ხ ლ მ უ მ.

(შემოღიანი პეტროვი ფრედერიკი, ოლივერი, დიდებულები და მხლებულები)

პეტროვი

ფ რ ი ე დ რ ი კ ი — ჩაო მას მერე მისთვის თვალი არც კი მიგეიარავ?

ვერა, ბატონო, ამას ვეოა. ვერ დავიჯერებ, — და, რომ არ ვიყო ბუნებითადად მშვიდი, კეთილი, მაშინ ხომ რისხვის დასატებად არ დავუწყებდი ძემნის ვინმე სხვას, როცა თვითონ აქა მუყავარ შენ. გეგმის თუ არა, მოინახე მძა, სადაც ვიღილდეს, საწოლთა ძემნე, მაგრამ, თუკი ერთ წელიწადს ან მეუფარს ან ცოცხალს აქ არ მომგერი, ნუ მობრუნდები, ვერ ეღიოსებო, რომ იცხოვრო ჩვენს მიწა-წყალზე. შენს სახლ-კარს, მამუელს და ქონებას, რასაც შენად თვლი

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ეურნალ „სახბუთა ხელკონება“

ტ ა ჩ ს ტ ო უ ნ ი. მერე რა? ბავებში მით უფრო მაღე შეიგრძნობენ და მსიკვლიდნიან. ეს სახეთოე უწუწოა. რაიმე უფრო მაგარი მოიგონე. ვიხმენ.

ქ ო რ ი ნ ი. გარდა ამისა, როცა ცენტრებს ვაქიმობთ, ხელგეი კუპართი გვექვს ამოგანგული და შენ გინდოდა, რომ ჩვენს კუპართისთვის გვეცინა, როცა კარისკაცებს ხელგეი მუკისი ხუნი ახდით? ტ ა ჩ ს ტ ო უ ნ ი. კუპართული უფროდებიან; ხორცის კარგ ნაჭერათ შედარებით, მაღლისაგან დახლოებული ხორცი ხარ. ჭკვიანისგან ისწავლე და ახე განსაჯე: მუშეი უფრო საძაღელი წვიფიერებისგან შწაღდება, ვიდრე კუპარი: მუჭის ნიშ კატის უწმიდურებისგან აწწაღდება? სხვა სახეთოე ვიცი, მუჭესნი.

ქ ო რ ი ნ ი. შენს სახალღეში გაწაფული გონებისათან მე რას გავხედობ, მეტი რა გვა, ვნებდები.

ტ ა ჩ ს ტ ო უ ნ ი. მამ წაწუნებდა გლომებია! ლმერთმა ხელი მოიქნაოთის, კუპართული თუ განგებამ არ ვიწუნებ, ისეთივე ხეპრედადები, როგორიცაა ხარ.

ქ ო რ ი ნ ი. ბატონო, მე ალაღე შრომითა ვცხოვრობ: ის მომეყავს, რასაც ვეამ: იმს ეწოდებოდა, რასაც ვიცავს: არავინ მძულს; არავის ვინდებოდა არა მუშის; სხვისი კარგი მიხარია და ჩემს უბედობას ვინდას: ჩემი ჰატეოთუფარებია იმსწე შორს არ მიდის, რომ ვუთხვალთოელო ფარა ბალას როგორ მიეს და ბატეხები მუჭეს როგორ წაწუნებ.

ტ ა ჩ ს ტ ო უ ნ ი. ეს შენი მორე მომკავლებული ცოცვადა. ცენტრებსა და ვერძებს ერთად რომ შექერი და სარჩის პირის პირთა შეუღლებით მოხარობ; უთის მაქანგელობს უწეც და ერთი წლითა დედა სტეარს შობილ-ოკაცულე, ბებერსა და ჩქებთან ვერძს აბრუნებს და ეს მამინ, როცა უკველგვარი გონიერება ამხარია დაწვილების წინააღმდეგია. თუ ამისათვის არ წაწუნებდი, ალაღე, ეწაწე მუჭესების მიღება არა წლიდებია, არადა, სხვაინარად არ ვიცი ეწაწე-ჯობისთვის თავს როგორ დააწუნე.

ქ ო რ ი ნ ი. აგერ მომბრძანდება ჩემი ახალი ქალბატონის ძმა, ბატონი განიშედი.

(ქალაღის კითხვით შემოდის როზალინდა).

როზალინდა — ინდოეთს რომ მოუფარო უველა მხრიდან, მსგავს მარგალიტს ვერ უფიციო როზალინდას. ქარმა მისი ღირსებები ფრთხობთ ზიდა, ცხად მაწინა რომ ენახა როზალინდა. სურათიბეც ნახე ამა, სადაც ვინდა, საითოად მიამკრალნა როზალინდა. თუკი ვინდა, რომ ბატებმა ვიდრეც წინდა, დახსინე მატროიდენ როზალინდა. ტ ა ჩ ს ტ ო უ ნ ი. ასეთი ლექსი, ოღონდ სადილობის, ვახშობის და ძილის სათებე გამოირცხვად და მთელი რევა წელი არ გამოიშედი. იგი სწორად ბაზარში მიამეცედი კარების გამოიშედი ქაღისის განუწუნებდი მწერის მაგონებდა.

